



## გორის მუნიციპალიტეტის

### საკრებულოს

#### განკარგულება № 30

2023 წლის 10 თებერვალი  
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის მერია

შიდა აუდიტის სამსახური

2022 წლის

საქმიანობის ანგარიში

ქ. გორი

10.01.2023 წელი

## **საფუძველი:**

მოცემულ დოკუმენტში წარმოადგენილია გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის #17 დადგენილებით დამტკიცებულ „გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით“ და სხვა სამართლებრივი აქტებით.

## **მიზანი:**

სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნები და შიდა აუდიტის განხორციელების პრინციპებია საკითხების სისტემური, კომპლექსური შესწავლისა და რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესების შეფასების გზით მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა, ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრა და პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

## **საშტატო და დროითი რესურსის გამოყენების ანალიზი:**

სამსახურის საშტატო რიცხოვნობა 2022 წელს შეადგენს 10 ერთეულს, მერიაში რეორგანიზაციის დაწყებიდან (ივნისიდან) მოხდა თანამშრომელთა გადინება, სექტემბრიდან დასაქმებულია 6 თანამშრომელი.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში სამსახურის მიერ აუდიტი განხორციელდა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და არსებული სტანდარტების შესაბამისად. იგი ეფუძნებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებულ შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წლის წლიურ გეგმას.

## **მოკლე მიმოხილვა:**

სამსახურის მიერ, დებულებით გაწერილი მიზნების შესასრულებლად, შემუშავებული იქნა ვადებში გაწერილი და ფუნქციურად განაწილებული 2022 წლის სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში (2022 წლის იანვარ-დეკემბერი) მოხდა აუდიტის თითოეული ობიექტისთვის შესაძლო რისკების გამოვლენა და შეფასება. შესწავლილ იქნა:

- სტრუქტურული ერთეულების მიზნები და ამოცანები, შიდა დოკუმენტაციის გამართულობა, მოხდა კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება;
- უფლებამოსილებების და ვალდებულებების გადანაწილება თანამშრომლებს შორის;
- სტრუქტურული ერთეულების დამტკიცებული გეგმებისა და ფაქტობრივად განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისობა და მიზნობრიობა;

ყველა ზემოთ აღნიშნულის ანალიზის საფუძველზე, გაიცა რეკომენდაციები და მომზადდა რეკომენდაციების შესრულების გეგმები, რომლის შესრულებაზე მონიტორინგი ხორციელდება გაწერილი ვადების მიხედვით.

### განხორციელებული ღონისძიებები

სამსახურის მიერ 2022 წლის შემუშავებული სამოქმედო გეგმა მოიცავდა ოთხი ობიექტის შემოწმებას, მერიაში ჩატარებული რეორგანიზაციისა და სამსახურში ფაქტობრივად დასაქმებულ თანამშრომელთა სიმცირის გამო აუცილებელი გახდა 2022 წლის სამოქმედო გეგმის დაკორექტირება, რომლის შემდგომ გეგმა განისაზღვრა სამი აუდიტორული შემოწმებით.

საანგარიშო პერიოდში მოხდა შემდეგი ობიექტების შიდა აუდიტორული შემოწმება:

1. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო
2. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი
3. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო

შემოწმების შემდგომ გაცემული რეკომენდაციების შესრულების გეგმის საფუძველზე ასევე განხორციელდა სამი სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგი, დაიგეგმა მომდევნო პერიოდის მონიტორინგიც.

ყველა ზემოთაღნიშნული ობიექტი შემოწმდა სრულად, თითოეულ ობიექტში აუდიტი განხორციელდა შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შემდეგი პრინციპების დაცვით: დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, პროფესიონალიზმი, საჯაროობა, გამჭვირვალობა და კანონიერება. აუდიტის შემოწმებისას შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხები:

- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის პროცესის შესაბამისობა არსებულ კანონმდებლობასთან
- შრომის ანაზღაურების სისწორე;
- შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან;
- აქტივების გამოყენების სისწორე;
- საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის სისწორე;
- მიღებული შემოსავლები;

- ბუღალტრული ბალანსი და ფინანსური ანალიზი.
- დებიტორ-კრედიტორების არსებული მდგომარეობა;
- სუბსიდიის გაანგარიშების სისწორე;
- ხარჯთაღრიცხვის შესრულების ანალიზი;
- საკადრო პოლიტიკა, მიზნები და ამოცანები (განხორციელების შესაბამისობა):
  - უფლებამოსილებების და ვალდებულებების გადანაწილება თანამშრომლებს შორის.
  - დაგეგმილი სამუშაოების შესრულება, დოკუმენტაციის წარმოება და მისი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

შემოწმების შემდგომ სამსახურის თანამშრომლების მიერ ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რაც აისახა აუდიტორულ ანგარიშებში. მომზადდა რეკომენდაციების შესრულების გეგმები, რომლის შესრულებაზე კონტროლი განხორციელდა შესაბამისი განყოფილების მიერ.

### გამოვლენილი ძირითადი რისკები

- სტრატეგიული გეგმის, ორგანიზაციის მომავლის ხედვის, პრიორიტეტული მიმართულებების გაანალიზების გარეშე, ორგანიზაციის საქმიანობა გადავა ყოველდღიურ რუტინულ პროცესზე, რაც მკვეთრად შეამცირებს მის ქმედითუნარიანობას.
- დაგეგმვის გარეშე მენეჯმენტი ვერ მოახდენს თანამშრომელთა და მთლიანად ორგანიზაციის საქმიანობის შეფასებას, ვერ იქნება შედეგიანი, ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს;
- არასრული ანგარიშგება მიუთითებს სუსტი კონტროლის მექანიზმებზე, რაც თავის მხრივ, როგორც გეგმის შეუსრულებლობას, ასევე ხარისხის დაცვისა და ფინანსების მართვის სუსტ კონტროლს ნიშნავს;
- ქონებისა და აქტივების შენახვის, ექსპლუატაციისა და დაცვის წესების პირობების დარღვევის რისკი;
- აუდიტის ობიექტებს არ აქვთ შეფასებული, განსაზღვრული და გამოვლენილი ორგანიზაციული რისკები;
- შიდა კონტროლის დანერგვის, მათი დოკუმენტირებასა და გამართულ ფუნქციონირებასთან არსებული შეუსაბამობები;
- საკადრო პოლიტიკის არქონა, კომპეტენციებისა და რესურსების არასათანადოდ შეფასება, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავების და დანერგვის უზრუნველყოფის შეფერხება, ზრდის ორგანიზაციის რეპუტაციულ რიკს;
- ადამიანური რესურსის სათანადო მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია მენეჯმენტმა განსაზღვროს დაწესებულების საქმიანობისთვის საჭირო თანამშრომელთა ოპტიმალური რაოდენობა. დასაქმებულთა რაოდენობის არასწორი განსაზღვრა ხშირად თანხების არაეფექტიან და არაპროდუქტიულ ხარჯვას იწვევს;
- მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების შეფერხება ქმნის ორგანიზაციის ფინანსურ და რეპუტაციულ რისკებს;

- მაქსიმალურად ოპერატიულად და დროულად თუ არ მოხდა კორესპონდენციაზე რეაგირება (ინფორმაციის მოძიება, პასუხის გაცემა, სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა, საჯარო ინფორმაციის გაცემა და სხვა) ორგანიზაცია ვერ შეძლებს საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვას;
- თუ არ მოხდა ხელმძღვანელის მიერ გარკვეული უფლება-მოვალეობის გადანაწილება (დელეგირება) მოადგილესა და სამსახურის ხელმძღვანელებზე, ორგანიზაციის საქმიანობა ვერ იქნება ეფექტიანი და ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს.
- დაწესებულების ნებისმიერ პოზიციაზე უკონკურსოდ, საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებობის გარეშე თანამშრომელთა დასაქმებამ, შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მენეჯერის ობიექტურობა და ორგანიზაციის რეპუტაცია;

## აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი (მნიშვნელოვანი) რეკომენდაციები:

### ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო

- დოკუმენტების ოპერატიული და ხარისხიანი შესრულების, მომხმარებლისთვის დადგენილ ვადებში ინფორმაციის მიწოდების, დროისა და საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი დაზოგვის მიზნით, სასურველია სააგენტოში დანერგილი იქნეს საქმისწარმოების და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.
- სააგენტომ უზრუნველყოს საარქივო დოკუმენტების დამუშავების, მოწესრიგების მომზადება/გადაცემისათვის თანამდებობრივი ინსტრუქციების მომზადება და სამუშაოთა აღწერილობით საქმისწარმოების ან ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების სპეციალისტზე დაკისრება/გაწერა;
- უზრუნველყოფილი იქნეს სააგენტოს ზედა მენეჯერული რგოლის მიერ საკადრო პოლიტიკის გატარება, რომელიც მოიცავს, კვალიფიციური კადრების შერჩევას: კვალიფიციური პერსონალის მომზადებას და მათ უწყვეტ განათლებას, პერსონალის შრომითი პოტენციალის ანალიზს, შეფასებას და ა. შ.
- უზრუნველყოფილი იქნეს დოკუმენტების ცალკეულ კატეგორიებად დაჯგუფება. თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების, ბრძანებების, შვებულება-მივლინებების, საავადმყოფო ფურცლების გახსნა - დახურვის სისტემატიზაცია და აღრიცხვა.
- შიდა კონტროლის გარემოს პროცესების ეფექტიანად მართვისათვის ზედა მენეჯერული რგოლის, ხელმძღვანელების მიერ დანერგილი იქნეს ყოველკვარტალური(ან ყოველთვიური) ანგარიშგების წარმოდგენის ვალდებულება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სააგენტოში მიმდინარე პროცესების კონტროლის და სააგენტოს საქმიანობის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.
- ვაკანსიებზე, რომელიც ითხოვს სამუშაო გამოცდილებას ან სპეციფიკურ განათლებასა და უნარ-ჩვევებს, სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილი იქნეს თანამშრომელთა დასაქმება კონკურსის წესით ან მენეჯმენტის მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკის საფუძველზე, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით; ასევე ზედა მენეჯერული რგოლის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს პერსონალის გადამზადებისა და უწყვეტ განათლების ხელშეწყობა;

- კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს თანამშრომელთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის (ვადის გასვლის და ან ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ) ასახვა მათ პირად საქმეებში.
- შესყიდვების პროცესი განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად:
- საქონლის მოწოდება და ანგარიშსწორება განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მაქსიმალურად იქნეს აღმოფხვრილი ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოსა და ჯარიმის დაკისრებას.
- სააგენტომ ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.
- აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის, ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის გაუმჯობესების მიზნით ზედა მენეჯერული რგოლის მიერ შემუშავებული იქნეს წინადადებები არაფინანსური და ფინანსური აქტივების შენახვის, ექსპლუატაციის წესების და პირობების დაცვის გასაუმჯობესებლად; თანმიმდევრულად იქნეს განსაზღვრული და გაწერილი ინვენტარიზაციის ჩატარებისთვის განსახორციელებელი ქმედებები, ჩამოყალიბებული იქნეს ინვენტარიზაციის ჩატარების გეგმა, განისაზღვროს ინვენტარიზაციის ჩატარების ზოგადი წესები და პირობები, საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობა და სხვ;
- უზრუნველყოფილი იქნეს სააგენტოს მიერ წლიური ანგარიშგების, ბალანსის სრულყოფილი სახით დამუშავება და წარდგენა, აღნიშნული უზრუნველყოფს: ფინანსური და საოპერაციო შედეგების დროულად ასახვას და ეფექტიანობას, ხარვეზების დროულ იდენტიფიცირებას, აღმოფხვრას და არსებული სისტემის მუდმივ სრულყოფას.
- მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავდეს მონიტორინგზე გასვლების წლიური გეგმა/გრაფიკი ისე, რომ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში უწყვეტი მონიტორინგის პროცესი განხორციელდეს. მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ (როგორც ჰიგიენის და კვების სპეციალისტების, ასევე მეთოდისტების) ანგარიშგებისას სრულყოფილად იქნეს ჩამოყალიბებული, სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში მონიტორინგის დროს გამოვლენილი საჭიროებები, ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის/გამოსწორების მიზნით შეიმუშაონ კონკრეტული რეკომენდაციები, რომელსაც წერილობით გაუგზავნიან როგორც სააგენტოს მენეჯერს (ან უშუალო მენეჯერს), ასევე სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორს, რაც გააუმჯობესებს კონტროლის მექანიზმებს და შეამცირებს რისკებს;
- სრულყოფილად იქნეს ნაწარმოები თითოეული სატრანსპორტო საშუალების საწვავის აღრიცხვის დოკუმენტაცია: საწვავის ხარჯვის დამადასტურებელი აქტები (საწვავის ყოველთვიური ხარჯვის ფურცელზე ხელს აწერს ფინანსისტი, სამეურნეო/ ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი და მძღოლი), საწვავის ჩასხმის ტრანზაქციების ყოველთვიური ამონაწერი, ავტომანქანებზე ორგანიზაციის დადგენილი ლიმიტები და შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საწვავის ხარჯვის ნორმას 100 კმ-ზე, საწვავის ჩამოწერის აქტებში ავტომობილის ოდომეტრის ჩვენებები თვის დასაწყისში და თვის ბოლოსთვის. თვეში განვლილი მანძილი (კილომეტრი), თვის მანძილზე ჩასხმული და

გახარჯული საწვავის რაოდენობა (ლიტრი). ტრანსპორტის დიდ მანძილზე გადაადგილებისას ორგანიზაციამ აწარმოოს ავტომობილის საგზურის ფურცელი;

- სააგენტოს მირ შემუშავებული იქნას სტრატეგიული განვითარების გეგმა (პროცესში ჩართოს ყველა თანამშრომელი), რაც საშუალებას მისცემს სააგენტოს ეტაპობრივად (ყოველწლიური საქმიანობით) მიაღწიოს წესდებით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანებს; შიდა კონტროლის დანერგვის და გაძლიერების მიზნით, „სააგენტოს“ მიერ შედგენილ წლიურ სამუშაო გეგმას დაერთოს განყოფილებების მიხედვით შედგენილი წლიური სამუშაო გეგმები, შემსრულებელი თანამშრომლების გვარების და შესასრულებელი სამუშაოების პერიოდულობის (თარიღების) მითითებით. საქმიანობის გეგმა სამსახურს და განყოფილებებს იმგვარად უნდა ჰქონდეს გაწერილი, რომ შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელების მიერ თანამშრომლებს შორის განაწილებული დავალებების, მათი შესრულების და გეგმასთან შესაბამისობის კონტროლი, არა მხოლოდ წლის მანძილზე, არამედ ყოველთვიურ რეჟიმში.
- სააგენტოს დებულების თანახმად, როგორც დირექტორის მოადგილეს, ასევე განყოფილების უფროსებს და თანამშრომლებს მოეთხოვოს, საკურატორო სფეროების მიხედვით, ანგარიშების მომზადება ყოველ კვარტალურად და ხელმძღვანელთან წარდგენა.
- შექმნას ყველა სახის საინფორმაციო და ანალიტიკური ელექტრონული ბაზები, რომელთა დახმარებითაც სააგენტო შეძლებს უფრო ეფექტურად განახორციელოს აღსაზრდელთა ჩარიცხვა, უზრუნველყოფილი იქნას აღნიშნული ელექტრონული ბაზების დაცვა.
- „სააგენტომ“ დაიცვას მოთხოვნად ბალებში ჩარიცხული აღსაზრდელების გონივრული რაოდენობა, მიუხედავად მშობლების მხრიდან მაღალი ინტერესისა.
- სააგენტოში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასა და შენახვასთან დაკავშირებით, მიღებული იქნას შემდეგი ზომები: არსებული პრაქტიკის ანალიზი, შიდა პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა, პროცესის გაწერა, გაიწეროს სხვადასხვა ინფორმაციასთან წვდომების კონტროლი, მოხდეს თანამშრომელთა ინფორმირება/ტრენინგები შესაბამისი მიმართულებით.

#### ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „გორი“

- შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა (მინიმუმ სამ წელზე გათვლილი), ორგანიზაციის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით, სადაც თანმიმდევრულად იქნება გაწერილი და რისკის ხარისხის მიხედვით დალაგებული შესასრულებელი საქმიანობები და პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციას, წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.
- ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ განახორციელოს სათანადო კონტროლი ღონისძიებების დაგეგმარებასა და განხორციელებაზე ა(ა)იპ-ის მიზნებთან შესაბამისობით, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივ და ეკონომიურ ხარჯვას. ღონისძიებებისა და შესაბამისი ბიუჯეტის განსაზღვრის ეტაპზე, კლუბმა უზრუნველყოს კონკრეტულ ღონისძიებაზე გასაწევი ხარჯების დეტალური გაწერა/ჩაშლა. აღნიშნული დაეხმარება დამფინანსებელს ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტი დაგეგმოს ეფექტიანად.



- დაინერგოს მონიტორინგები პასუხისმგებელი პირების მიერ, როგორც საფეხბურთო სკოლის მეცადინეობების, ასევე ყველა ღონისძიებისა და აქტივობისათვის. მონიტორინგის ანგარიშებში ნათლად გამოიკვეთოს არსებული გადაცდომები და გაიცეს რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად; განისაზღვროს რა სიხშირით მომზადდეს ანგარიშვალდებული პირის მიერ ხელმძღვანელის მიმართ წარსადგენი გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. ასევე ჩატარდეს განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება;
- წლის განმავლობაში ხარჯთაღრიცხვის კორექტირებისას, „კლუბის“ მენეჯმენტის მიერ მოხდეს წერილობით არგუმენტებით, დაკონკრეტებით დასაბუთება, თუ რა მიზეზით ხდება ესა თუ ის ცვლილებები ხარჯთაღრიცხვაში. წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა მოხდეს გეგმიურად.
- აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის, ანგარიშგებისა და შიდა კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, ზედა მენეჯერული რგოლის მიერ შემუშავებული იქნეს წინადადებები არაფინანსური და ფინანსური აქტივების შენახვის, ექსპლუატაციის წესების და პირობების დაცვის გასაუმჯობესებლად; თანმიმდევრულად იქნეს განსაზღვრული და გაწერილი ინვენტარიზაციის ჩატარებისთვის განსახორციელებელი ქმედებები: ინვენტარიზაციის ჩატარების გეგმა, ინვენტარიზაციის ჩატარების ზოგადი წესები და პირობები;
- მოწესრიგდეს და სრულყოფილად იქნეს ნაწარმოები თითოეული სატრანსპორტო საშუალების საწვავის აღრიცხვის დოკუმენტაცია; „კლუბმა“ სრულყოფილად აღრიცხოს მატერიალური მარაგები. საწყობში მიღებული მატერიალური მარაგები სრულად იქნას აღებული შემოსავალში მისი რაოდენობის და ღირებულების მითითებით.
- სრულყოფილად აღრიცხოს მატერიალური მარაგები. საწყობში მიღებული მარაგები სრულად იქნას აღებული შემოსავალში მისი რაოდენობის და ღირებულების მითითებით.
- თანამშრომლებზე გაცემული მივლინების ხარჯები ჩამოიწეროს წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის შემდგომ, შესრულებული იქნას კლუბის შინაგანაწესის მე-13 მუხლი.
- ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციამ ზედმიწევნით შეისწავლოს დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები (თითოეულ საშტატო ერთეულის), დატვირთვის გათვალისწინებით მოახდინოს კორექტირება განსხვავებულ ხელფასებზე, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ და რაციონალურ ხარჯვას.
- კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს თანამშრომელთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის (ვადის გასვლის და ან ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ) ასახვა მათ პირად საქმეებში.
- უზრუნველყოფილი იქნეს მენეჯერული რგოლის მიერ საკადრო პოლიტიკის გატარება, რომელიც მოიცავს, კვალიფიციური კადრების შერჩევას: კვალიფიციური პერსონალის მომზადებას და მათ უწყვეტ განათლებას, პერსონალის შრომითი პოტენციალის ანალიზს, შეფასებას და ა. შ.
- ფინანსები მოხმარდეს იმ სამუშაოებს, სადაც გამოვლენილია გარკვეული სახის პრობლემები. ასევე ეტაპობრივად განხორციელდეს კლუბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის განახლება
- მენეჯმენტის მიერ მოხდეს ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკის გადახედვა, განხორციელდეს ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობების და მათზე დახარჯული სახსრების ანალიზი, შეფასდეს იდენტური ფუნქციების მქონე საშტატო ერთეულების არსებობის მიზანშეწონილობა და საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს არსებული საშტატო

ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს ა(ა)იპ-ის ფინანსური და ადამიანური რესურსის მართვის სისტემის გაუმჯობესებას.

- დაინერგოს შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობის, კორუფციის, შეცდომის, საჯარო რესურსების არარაციონალური გამოყენებისა და სხვა სახის დარღვევების პრევენციას.
- თითოეული პოზიციის მიხედვით გაძლიერდეს კონტროლის ბერკეტები, რათა გამოირიცხოს თანამშრომელთა მხრიდან დაკისრებული მოვალეობა ვალდებულებების შეუსრულებლობა. შიდა კონტროლზე და გამოვლენებზე რეაგირებები და პასუხისმგებლობა დაეკისროს დირექტორის მოადგილეს.

### ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტო

- ორგანიზაციის წესდებაში იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართად მიეთითოს - გორი, შინდისის გზატკეცილი მე-2კმ, სადაც სააგენტო ფაქტიურად არის განთავსებული. აღნიშნული, ხელს შეუწყობს ორგანიზაციას დროულად მიიღოს ინფორმაცია და არ შეფერხდეს სამუშაო პროცესი;
- ოპერატიული და ხარისხიანი შესრულების, საჯარო ინფორმაციის დადგენილ ვადებში მიწოდების, დროისა და საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი დაზოგვის მიზნით, სასურველია სააგენტოში დანერგილი იქნეს საქმისწარმოების და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვით ამალდეება შიდა კონტროლის გარემო, ეფექტური გახდება სამუშაო პროცესები,
- შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა (მინიმუმ სამ წელზე გათვლილი), ორგანიზაციის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით, სადაც თანმიმდევრულად იქნება გაწერილი შესასრულებელი საქმიანობები და პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციას წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში.
- წლიურ ანგარიშებს უნდა ახლდეს კვლევის შედეგები, სტატისტიკური და შედეგობრივი მაჩვენებლებით, რომელიც თან დაერთვის ანგარიშს და მეტად წარმოაჩენს სააგენტოს საქმიანობას;
- მიზანშეწონილია თანამდებობრივ ინსტრუქციაში ყველა პოზიციისთვის ჩამოყალიბდეს/გაიწეროს ფუნქცია-მოვალეობები ისე, რომ შესაბამისობაში იყოს თანამშრომლის რეალურ მოვალეობასა და გაწეულ საქმიანობასთან.
- სააგენტოს საშტატო განრიგით რიცხულ ყველა თანამდებობისთვის, განსაკუთრებით სპეციფიკური მიმართულების პოზიციებისთვის, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. თანამშრომლების შერჩევა ვაკანტურ პოზიციებზე მოხდეს კონკურსის საშუალებით, აღნიშნული უზრუნველყოფს პროფესიული კადრის მოზიდვას, ორგანიზაციის განვითარებას, ავტოტრანსპორტის გამართული ექსპლუატაციის პროცესის ხელისშეწყობას;
- სააგენტოში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესის სათანადო ორგანიზებას, რაც წარმოშობს არასწორი მიმართულებით თანხის გადარიცხვისა და ანგარიშგებაში არასწორი მონაცემების ასახვის რისკს.

- მონიტორინგის განხორციელების მიზნით შემუშავდეს შესამოწმებელი მიმართულებების გეგმა, ჯგუფის წევრების მიერ ანგარიშგებისას, სრულყოფილად იქნეს ჩამოყალიბებული, დაწესებულებებში მონიტორინგის დროს გამოვლენილი საჭიროებები, ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის/გამოსწორების მიზნით გაიცეს კონკრეტული რეკომენდაციები. ზემოაღნიშნული გააუმჯობესებს კონტროლის მექანიზმებს და შეამცირებს ხარვეზების რისკებს;
- მიზანშეწონილია სააგენტომ სატრანსპორტო საშუალებების საწვავის აღრიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია აწარმოოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის #230 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს კონტროლის გარემოს ამაღლებას;
- ტრანსპორტის სააგენტომ უზრუნველყოს მომწოდებელთან კომუნიკაცია ოფიციალურ დონეზე და კონტრაქტის შესაბამისად, ვინაიდან არსებული მდგომარეობა რისკის ქვეშ აყენებს კომპენსაციის მოთხოვნის და შესაბამისად მიღების უფლებას.
- მომწოდებლის მხრიდან საგარანტიო პერიოდში კონტრაქტით გათვალისწინებული ნებისმიერი დარღვევის შესახებ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნით, დაუყოვნებლივ, შესაბამისი სრულყოფილი დოკუმენტაციის თანხლებით აცნობოს გორის მუნიციპალიტეტის მერიას ან მუნიციპალური განვითარების ფონდს.
- მუნიციპალური ტრანსპორტის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და მოსახლეობისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების მიზნით, გამოიყენოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებები, და გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში განახორციელოს სათანადო რეაგირება.
- ტრანსპორტის სააგენტოს მხრიდან შესრულდეს 2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 12 მარტის თხოვნების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ავტობუსების დაზღვევის ვალდებულება და სხვა რეკომენდაციები.
- 

## გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი

2022 წელს, სამსახურის წლიური გეგმის მიხედვით, აუდიტის ობიექტებში განხორციელდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. ეს ობიექტებია:

1. ა(ა)იპ სტრატეგიული განვითარების სააგენტო
2. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური
3. ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის სააგენტო

აღნიშნულ ობიექტებში მონიტორინგის განხორციელების მიზანია გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესწავლა და ამ რეკომენდაციების შესრულებისათვის განხორციელებული ღონისძიებების ანალიზი. ასევე რწმუნების მიღება, რეკომენდაციების შესრულების კუთხით მენეჯმენტის მიერ გატარებული ღონისძიებების ადეკვატურობის, ეფექტიანობისა და დროულობის შესახებ, ან უმაღლესი მენეჯმენტის მიერ უმოქმედების რისკის აღების შესახებ.

მონიტორინგის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის აუდიტორული პროცედურები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული და ადგილზე მოპოვებული მტკიცებულებების შესწავლა და შეფასება;
- პროცესებზე დაკვირვება;
- პროცესებთან დაკავშირებულ პირებთან გასაუბრება;
- 

შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ასახულია ცხრილში:

აუდიტის ობიექტი	გაცემული რეკომენდაციის რაოდენობა	შესრულებული რეკომენდაციის რაოდენობა	ნაწილ. შესრულ. რეკომენდაციის რაოდენობა	შეუსრულებელი რეკომენდაციის რაოდენობა
ა(ა)იპ სტრატეგიული განვითარების სააგენტო	38	24	13	1
გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური	19	6	7	6
ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის სააგენტო	22	13	6	3
%-ული მაჩვენებელი	100%	54%	33%	13%

### აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული სხვა საქმიანობების შესახებ:

სამსახურის მიერ მოხდა სამსახურის 2022-25 წლების სტრატეგიული და 2022 წლის საქმიანობის გეგმების შემუშავება, რომელიც დამტკიცებული იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ხოლო დამტკიცების შემდეგ გაიგზავნა „ჭარმონიზაციის ცენტრში“. მომზადდა 2022 წელს გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში.

სამსახურის ანალიტიკის განყოფილების მიერ ყოველ კვარტალურად ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების შესახებ ინფორმაციისა და საკონტაქტო მონაცემების განახლება/შევესებას, რომლის მიზანი იყო სრულყოფილი საინფორმაციო ბაზების არსებობა, მჭიდრო კონტაქტი მერიის

დაქვემდებარებულ იურიდიულ პირებთან და საჭიროების შემთხვევაში, საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

საანგარიშო წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიმდინარე წლის წლიური გეგმების და წინა წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიშების შესწავლა/ანალიზი, რომლის მიზანი იყო შიდა აუდიტის ობიექტების საქმიანობის გაუმჯობესების, მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული რეკომენდაციების შემუშავება;

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის განყოფილების მიერ შესწავლილი იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული 11 ა(ა)იპ-ის საქმიანობა, რომელთაც არ ქონდათ საკმარისი და სათანადო მატერიალური რესურსები საკუთარი ფუნქციების სრულყოფილად შესრულებისთვის. განყოფილების მიერ ჩატარდა მოკვლევა ა(ა)იპ-ზე გადაცემული არა პროფილური და ისეთი სახის ქონებაზე, რომელსაც ორგანიზაციები არ იყენებენ ფუნქციების განხორციელებისთვის. საკითხი ეხება მუნიციპალური ქონების ოპტიმალურ განკარგვას. შიდა აუდიტის განყოფილების მიერ შესწავლილი იქნა აგრეთვე ორგანიზაციების საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და მათზე დახარჯული რესურსები.

შიდა აუდიტის განყოფილების მიერ დამუშავდა ანგარიშები (პერსონალურ ინფორმაციის და კანონმდებლობის დაცვით) და გაცემული იქნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემდგომ.

სამსახურის ასევე ახორციელებს საკონსულტაციო საქმიანობას ფორმალიზებული პროცედურების დაცვით.

შიდა აუდიტის სამსახურის დებულების (ცვლილებები) პროექტის შემუშავება განხორციელდა ძირითადად გარე შეფასების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

## ორგანიზაციებისა და სტრუქტურული ერთეულებისთვის გაწეული სარგებელი

ორგანიზაციების და სტრუქტურულ ერთეულების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებით, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია მოყვანილი:

- დებულება;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- ორგანიზაციული სტრუქტურა;
- შინაგანაწესი;
- ფინანსური და მატერიალური ფასეულობათა აღრიცხვა;
- სამივლინებო თანხების აღრიცხვა;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაცია;
- დაწესდა საწვავის ხარჯვის ლიმიტები და მათ დაცვაზე მენეჯერების მხრიდან მკაცრი კონტროლი;
- დაისახა შიდა კონტროლის მექანიზმების სრულყოფის გზები.

## კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები

სამსახურის თანამშრომლები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრის) მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სამუშაო საინფორმაციო შეხვედრებში.

შიდა აუდიტორები საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, განსაკუთრებით: ეფექტიანობის, სისტემური და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტორული შემოწმების, რისკების გამოვლენის და შეფასების მიმართულებებით.

ხელმოწერა

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი



მ. რაზმაძე